ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის 2025 წლის ანგარიში

სამსახურის უფლებამოსილებას და სამსახურეობრივ არეალს წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არსებული ა.(ა).ი.პ.-ებისა და გაერთიანებების საქმიანობის კონტროლი და სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. კურირებას ვუწევთ შემდეგ ორგანიზაციებს: **ა.(ა).ი.პ. სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, ს.ს.ს.ს. "მომავალი", ა.(ა).ი.პ სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, კულტურის ცენტრი, არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, ა.(ა).ი.პ.საფეხბურთო კლუბი "ბახმარო", ა.(ა).ი.პ სარაგბო კლუბი"ღონე".**

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობიდან გამომდინარე დეტალურად წარმოგიდგენთ გაწეული ერთობლივი მუშაობისა და ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალს:

- ვთანამშრომლობთ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან, მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტოროზაციის წარმატებით განხორციელების მიზნით. მონაწილეობას ვღებულობთ სკოლამდელი დაწესებულებების თვითშეფასების კითხვარის შევსებაში.
  ასევე ხიდისთავის, საჭამიასერისა და სამების საბავშვო ბაღებში ექსპერტთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობას ვღებულობდით ავტორიზაციის პროცესებში, ზემოთ აღნიშნულ საბავშვო ბაღებს 4 წლის ვადით მიენიჭათ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი.

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა ახალგაზრდობის სამინისტროს რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების, სასკოლო მზაობის პროგრამის ასაკის (5-6 წლის) ბავშვთა სკოლამდელ განათლებაში ჩართულობის, სკოლამდელი განათლების სფეროში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობის პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური რესურსების შესახებ.

- შევაგროვეთ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მივაწოდეთ ვრცელი ინფორმაცია სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა და მომსახურე პერსონალის შესახებ.

- აქტიურად ვთანამშრომლობთ გურიის სამხარეო ადმინისტრაციასთან და სხვადასხვა სამსახურებთან, ვაწვდით ინფორმაციას სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საჯარო სკოლების შესახებ.

- ვთანამშრომლობთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებთან, ვახარისხებთ შემოსულ დოკუმენტაციებს და ანგარიშებს. ვავრცელებთ ინფორმაციებს და ხელს ვუწყობდით საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კონკურსებში დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების აქტიურად ჩართვის.

- **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია და განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური** ხელს უწყობს: კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების განვითარებაში ახალგაზრდების მონაწილეობას და მათ ჩართულობას სასარგებლო საქმიანობაში, მათთვის პიროვნული ღირებულებებისა და ახალი შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

- ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის (სამსა) მიერ, პროექტის "EU4Youth: ახალგაზრდების ჩართულობა და გაძლიერება" მხარდაჭერით, გამოცხადებულ კონკურსში, ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო გახდა ასოციაციასთან არსებული სასწავლო აკადემიის ერთ-ერთი გამარჯვებული და მოპოვებული 2000 ლარიანი გრანტით, საბჭოს წევრებმა დახმარება გაუწია, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებში მცხოვრებ 18 წლამდე ახალგაზრდებს, რომელთაც დაურიგდათ საკანცელარიო და შემეცნებითი ხასიათის საჩუქრები.

- ჩოხატაურის ახალგაზრდულმა მრჩეველთა საბჭომ განახორციელა პროექტი ,, მომავლის მეწარმეები", რომელიც ასევე ახალგაზრდული მრჩეველთა

საბჭოების ასოციაციის (სამსა) მიერ გამოცხადებულ კონკურსში, 4 საუეთესო პროექტს შორის მოხვდა და მიიღო გრანტი 2000-ი ლარის ოდენობით.

- ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების კუთხით ,ახალაგაზრდულმა მრჩეველთა საბჭომ წარმოადგინა პროექტი: ,,ჩვენი უბნის ზღაპრული ლაბირინთი", რომელიც საქართველოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი გახდა და მოიპოვა 2000 ლარიანი გრანტი. პროექტში, ახალგაზრდებმა შექმნა ნარჩენებისგან ეკო-მეგობრული ლაბირინთი და წარმოაჩინა თემის ისტორია.

ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივით ასევე ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- თამაშები, რომელიც ხელს უწყობს ლოგიკურ აზროვნებას, გუნდურობას და სტრატეგიულ აზროვნებას.
- ინტელექტუალური თამში ,, რა? სად? როდის ?"
- ინტერაქტიული თამაში :Kahoot Quiz,(კაჰუთი) რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ცოდნის გამოცდას სხვადასხვა საკითხებზე გართობის ფორმით
- ფილმის ჩვენება და შემდგომი დისკუსია, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდების თვითგამოხატვას და კრიტიკული აზროვნებას.
- სპორტული აქტივობები: ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და ტენისის ტურნირები, რომელიც ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და გუნდურობის გაძლიერებას.
- ახალგაზრდულმა საბჭომ გამართა საინფორმაციო შეხვედრები და გამოკითხვები, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით, რაც მოიცავდა სკოლებში ნერგების დარგვასა და საინფორმაციო შეხვედრებს.
- 2025 წელს, ჩოხატაურის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ოსეფაიშვილი, მიწვეული იყო მოლდოვაში, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ,რომელშიც მონაწილეობდნენ ახალგაზრდები სამი ქვეყნიდან – საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან. ღონისძიება ორგანიზებული იყო მრჩეველთა საბჭოების ასოციაცია-ის მიერ და მიზნად ისახავდა ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ლიდერული უნარების განვითარებას. პროექტის ფარგლებში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ერთმანეთის პრაქტიკას, ემუშავათ საერთო გამოწვევებზე და შეემუშავებინათ ახალი იდეები, რომლებიც ახალგაზრდების ჩართულობასა და განვითარების შესაძლებლობებს გააძლიერებს.

- ახალგაზრდულმა მრჩეველთა საბჭომ, თბილისში, მონაწილეობა მიიღო მუნიციპალური ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების 2025 წლის ფორუმში, რომელიც გაიმართა საქართველოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების ასოციაციისა და ახალგაზრდობის სააგენტოს ორგანიზებით, მიზნად ისახავდა წლის საუკეთესო ახალგაზრდული საბჭოს გამოვლენას.
- საბჭომ ,ალგაზდრებში ჩაატარა სესია ,,ეფექტური კომუნიკაცია" ,რომლის მიზანი იყო ლიდერული და კომუნიკაციის უნარების განვითარება.
- მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა და ახალგაზრდულმა საბჭომ უმასპინძლა ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის" წარმომადგენელს, ქალბატონ ნინო თოდუას, რომელმაც ახალგაზრდებს გააცნო „2025 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს" შესახებ. შეხვედრისას მონაწილეებმა გააზიარეს საკუთარი გამოცდილება, ისაუბრეს ჩოხატაურში განხორციელებულ მოხალისეობრივ პროექტებზე და მომავალ იდეებზე.
- ბათუმში გაიმართა რიგით მეოთხე რეგიონული ფორუმი, რომელიც ასოციაციის პროექტის ,,საქართველოს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოები — იდეიდან ცვლილებამდე" ფარგლებში განხორციელდა. ფორუმში მონაწილეობა მიიღო მერის ახალგაზრდულმა მჩეველთა საბჭომ.ფორუმის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე , გიორგი შარაბაძის ხელმძღვანელობით, გაიმართა სესია თემაზე: „თვითმმართველობის არჩევნების მნიშვნელობა და ახალგაზრდების ჩართულობა".
- სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ ,,ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, თემატური ბანაკების განხორციელება დაიწყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩოხატაურის მერის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს წევრებმაც.
- ბანაკი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე გაიმართა და ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ მონაწილეობა მიიღოთ მრავალფეროვან საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში.
- 13 ივნისს, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით, შშმ 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის გაიმართა გასართობი და მუსიკალური პროგრამა, სადაც მოწვეული იყო ანიმაციის გმირები, ღონისძიების ბოლოს, ახალგაზრდებს სიმბოლური საჩუქრები გადავეცით.

- განვახორციელეთ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რომლის შედეგადაც მოხდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების აღრიცხვა და ერთიანი ბაზის შექმნა.

- **(ეთნოგრაფიული ექსპედიცია):** მუნიციპალიტეტმა ერთი კვირით უმასპინძლა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორებსა და სტუდენტებს, რომლებიც გურიის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს იკვლევდნენ.

- საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს მივაწოდეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული იმ კულტურული დანიშნულების ობიექტების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება შემდეგ ობიექტებს:
- ბუკისციხე (თამარის ციხე) – ადრეული შუა საუკუნეების ციხე და ეკლესია;
- ზოტის ციხე (ღომის ციხე) – ძველი შუა საუკუნეების სამხედრო დანიშნულების ობიექტი;

- "Camala Production • ქამალა პროდაქშენი" მხატვრულ-დოკუმენტურმა გადაცემამ „იარე ჩვენთან ერთად" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტი, რომელსაც ადგილზე ორგანიზებას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია უწევდა. პროექტი მიზნად ისახავდა ადგილობრივი კულტურის, ტრადიციების, მუსიკისა და ქორეოგრაფიის პოპულარიზაციას, ასევე ქართული სამზარეულოსა და მივიწყებული კერძების გაცოცხლება-განვითარებას.

- მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სატრანსპორტო მომსახურებას, კურირებას ვუწევთ სხვადასხვა სოფლიდან ბავშვების რეგულარულ ტრანსპორტირებას სახელოვნებო და სპორტულ სკოლებში არსებულ წრეებზე დასასწრებად. აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო და სპორტული სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდისთვის. ამავდროულად, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება შემოქმედებითი ჯგუფებისა და სპორტსმენების ტრანსპორტირება

საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ ფესტივალებზე, ტურნირებსა თუ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე, რაც უზრუნველყოფს ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიჭიერი თაობის აქტიურ ჩართულობას ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებში.

- **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის** ორგანიზებითა და კურირებით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

- ჩოხატაურის ნინო რამიშვილის სახელობის ხელოვნების სასახლეში დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

- დაჯილდოვდნენ მერიის, საკრებულოს, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების თანამშრომლები და პედაგოგები. 2024 წელს გაწეული მუშაობის გამო საუკეთესო ნომინანტებს სპეციალური საჩუქრები და სიგელები გადასცეს.

- სოფელ ხიდისთავში, ანა კალანდაძის სახელობის სკვერში, საზეიმოდ გაიხსნა პოეტის ბიუსტი.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირებმა,აფხაზეთის ომსა და 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს ეწვია და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სააღდგომო ნობათები გადასცა.

- 9 აპრილის სკვერში მდებარე გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობა, ჩატარდა დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი პარაკლისი , ხოლო სოფელ ახალშენში პატივი მივაგეთ 9 აპრილს გმირულად დაღუპული ნატო გიორგაძის საფლავს. ასევე გაიმართა ნატო გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ამხანაგური თამაში ბალახის ჰოკეიში, რომელშიც ადგილობრივი გუნდები მონაწილეობდნენ.

- ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერან გალაქტიონ ჩხიკვაძეს ,ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 101 წლის ვეტერანს გამარჯვების დღე მიულოცეს. ასევე პატივი მიაგეს ომში გარდაცვლილ გმირთა ხსოვნას და ჭიჭიკო ბენდელიანის ბიუსტი და პლატონ წიქარიძის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

- 26 მაისი დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება:

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის ბიუსტის შემკობა.
- ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა დროშის აღმართვის ცერემონია. ასევე გაიმართა სპორტული აქტივობები: მხატვრული ტანვარჯიში, დოღი, მკლავჭიდი და ბაგირის გადაძალვა. გამარჯვებულებს სხვადასხვა პრიზები გადაეცათ.
- ხელოვნების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ხალხური სიმღერებისა და ქორეოგრაფიული ნომრების წარმოდგენები.
- დღის დასასრულს, ხელოვნების სასახლეში გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.
- გამოვლინდნენ საპატიო ჩოხატაურელები;
- გია ჩხიკვიშვილი — ისტორიკოსი, ჩოხატაურის გიმნაზიის დამაარსებელი და დირექტორი 2011 წლიდან დღემდე ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე და ისტორიის მასწავლებელი;
- ელისო ბოლქვაძე — მუსიკოსი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. 2013 წლიდან საქველმოქმედო ფონდი „ლირას" დამფუძნებელი. შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებელი, რომელიც UNESCO-ს პატრონაჟით ტარდება. 1993 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია; 2019 წელს — პრემია „საგურამო" მუსიკის დარგში; 2018 წელს — ღირსების ორდენი; 2015 წელს — UNESCO-ს მშვიდობის არტისტის წოდება;
- ქეთევან დუმბაძე — ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი; მწერალ ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი. აქტიურად მონაწილეობს ჩოხატაურის საზოგადოებრივ და კულტურულ ღონისძიებებში. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

- მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები:

- კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს დამსახურებული მოღვაწეები: გოჩა ჯინჭარაძე, ვასილ ბუბუტეიშვილი, ავთანდილ მახარაძე, ელგუჯა მგელაძე.
- განათლების სფეროს დამსახურებული მოღვაწეები: რუსუდან ბერიშვილი, სულიკო კალანდაძე, დეზდემონა ლომინეიშვილი, ლილი ჩხაიძე, ქეთევან მინდაძე.
- ჯანდაცვის სფეროს დამსახურებული მოღვაწე: ლევან მეგრელიშვილი.

- ხელოვნების სასახლეში გაიმართა ლიტერატურული პროექტის — **„ცოცხალი წიგნები“** მეორე ეტაპი. პროექტის მიზანი იყო თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაცია, ავტორებისა და მკითხველების დაახლოება და ახალი თაობის მწერლების წარმოჩენაა. მისი უნიკალურობა მდგომარეობს კონცეფციაში — ავტორები თავად იქცევიან „ცოცხალ წიგნებად“: ისინი სტუმრობენ საქართველოს რეგიონებს და უშუალოდ უზიარებენ თავიანთ შემოქმედებას. მონაწილეები: ნინო გუგეშაშვილი, ნატა ვარადა, დავით რობაქიძე, გიორგი ზედვაკელი (აბესაძე).

- „გორაბერეჟოულის დენდროლოგიურ პარკში მეგა-პროექტ **„ხალხურის“** მეორე სეზონის შესარჩევი ტური ჩატარდა, რომელსაც ადგილზე ორგანიზება ჩოხატაურის მერიამ გაუწია.“
- 14 ივლისი ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე!
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ნოდარ დუმბაძის 97 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- ნოდარ დუმბაძის ბიუსტის ყვავილებით შემკობა.
- ლიტერატურულ-კულტურული ღონისძიება ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში.
- ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრი, ხელოვნების სასახლეში გაიმართა სპექტაკლი - „დიდრო”.

- რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივის მიგება, საკათედრო ტაძარში ომში დაღუპულთა სულთა მოსახსენებელი პანაშვიდი და ჩოხატაურელი გმირების საფლავები ყვავილებით შეამკობა.

- 6 აგვისტოს, ,, მუსიკალური ზაფხული“კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და მერიის ორგანიზებით, ხელოვნების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე კონცერტი გაიმართა.
- მონაწილეობდნენ;
- ზუკა ხუციშვილი
- ანანო ღიბრაძე
- ნათია დევდარიანი
- თათია დევდარიანი
- ქეთი ფარესაშვილი

- ფერისცვალება და ბახმარობის დღესასწაული; საზეიმო ლიტურგია ფერისცვალების სახელობის ტაძარში, ტრადიციული დოღი, სპორტული

აქტივობები,ადგილობრივი შემსრულებლების კონცერტი, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, საბავშვო გასართობი აქტივობები და ჯგუფი,,ურსას" კონცერტი.

- **25 დეკემბერი** საქართველოს მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სსიპ „შემოქმედებითი საქართველოსა" და ჩოხატაურის მერიის ორგანიზებით, გაიმართა საახალწლო ღონისძიება, დაბაში მთავარი ნაძვის ხე საზეიმოდ აინთო.

- ხელოვნების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საშობაო ბაზრობა და საბავშვო გასართობი სივრცეები, გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა.

- 31 დეკემბერი:

- საბავშვო აქტივობები და ანიმატორების შოუ
- ადგილობრივი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი
- კონცერტი: ოთო ნემსაძე და ბენდი

პატივისცემით;

განათლების, კულტურისა და სპორტის
სამსახურის უფროსი თეა მამალაძე